2020 წლის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციის მქონე სექტორები

PMO
Business Consulting

2020 წლის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციის მქონე სექტორები

ავტორი: ია იაკობაშვილი

2020 წელი რომ არაორდინალური და განსხვავებული წელი იყო, ამაზე არავინ დავობს. ისტორია ვუჰანის პროვინციიდან დაიწყო და გარდა ცხოვრების წესის რადიკალური ცვლილებისა, დროის სულ მცირე მონაკვეთში ჩვენ ბაზრის ძალიან სწრაფი ტემპით დაცემის მომსწრენი გავხდით. თუმცა, მაშინ როცა კომპანიები აქციათა ნახევარს კარგავდნენ და კოტრდებოდნენ, ერთი შეხედვით გამოუვალი სიტუაცია ზოგიერთი სექტორისთვის შესაძლებობათა ფანჯარა აღმოჩნდა.

ქვემოთ ეკონომიკის იმ სექტორებს განვიხილავთ, რომელთათვის გასული წელი დიდი მოგებისა და ზარალის მომტანი იყო.

2020 წლის პოზიტიური ტენდენციის მქონე სექტორები

პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციები (ე.წ. softwares)

ალბათ ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც პანდემიის დროს zoom-ით მაინც არ უსარგებლია. უნივერსიტეტი, სკოლები და სამსახურები პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების მეშვეობით სახლში გადმოვიტანეთ. შესაბამისად გაიზარდა მათი წლიური ბრუნვაც. მაგალითად, ელექტრონული კომერციის კომპანიამ Shopify-მ თავისი წლიური ბრუნვა 178%-ით გაზარდა.

ონლაინ საცალო გაყიდვის მაღაზიები

რომ არაფერი ვთქვათ ისეთ გიგანტ კორპორაციაზე, როგორიც ამაზონია, გასული წელი შედარებით წვრილი და ნაკლებად ცნობილი ონლაინ გაყიდვებზე ორინტირებული კომპანიებისთვისაც წარმატებული იყო - ჩინური კომპანია Pinduoduo 331%-იანი ზრდით მსოფლიოს ყველაზე სწრაფად ზრდადი კომპანია გახდა.

ძვირფასი ლითონების ინდუსტრია

გასული წლის მონაცემების მიხედვით, სპილენძი ფასი ბოლო რვა წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო. ხოლო ოქროს ფასმა აგვისტოს თვეში თავისი ფასის რეკორდი დაამყარა.

ლოჯისტიკის სექტორი

პანდემიამ მსოფლიო გადაზიდვების მოცულობა შედარებით ნაკლებად დააზარალა. ხოლო თუ იმ ფაქტორს გავითვალისწინებთ, რომ 2021 წელს მთელი მსოფლიო ვაქცინის ტრანსპორტირებაზე იქნება ორინტირებული, აღნიშნული სექტორის ზრდის პერსპექტივა კიდევ უფრო აშკარაა.

ნახევარგამტარების ინდუსტრია

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი ნედლეული გვჭირდება კომპიუტერული მოწყობილობების დასამზადებლად, შესაბამისად აღნიშნულმა სექტორმაც მარტივად გაუძლო კოვიდ-პანდემიას. 2020 წელი მულტინაციონალურმა ტექნოლოგიურმა კომპანია Nvidia-მ 117%-იანი მოგებით დაასრულა.

2020 წლის ნეგატიური ტენდენციის მქონე სექტორები

ტურიზმი

2020 წელმა უკვე დაიმსახურა ტურიზმის ინდუსტრიისთვის ყველაზე ცუდი წლის სტატუსი. გლობალური ტურიზმი COVID-19-მა 3.3 ტრილიონიანი ზარალის წინაშე დააყენა.

სავაჭრო ცენტრების ინდუსტრია

ონლაინ მაღაზიებისგან განსხვავებით, ნაკლებად გაუმართლათ სავაჭრო ცენტრებს, რომლებიც ინფექციის გავრცელების მაღალი რისკის შემცველ წყაროდ მიიჩნევიან. მათი აქციები გასულ წელს სწრაფი ტემპებით უფასურდებოდა, აშშ-ს ყველაზე მსხვილმა სავაჭრო ცენტრმა აქციების 41% დაკარგა.

ნავთობი და გაზი

ნავთობის ინდუსტრია კოვიდ პანდემიამდეც არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ლოქდაუნის შედეგად შემცირებულმა მოგზაურობამ კი ნავთობის მაგნატები კიდევ უფრო დააზარალა. ბრიტანულმა ნავთობისა და გაზის მწარმოებელმა კომპანია BP-მ 2020 წელი 46%-იანი ვარდნით დაასრულა.

ავიაკომპანიები

შემცირებული ფრენების გამო ავიაკომპანიები ძალიან დაზარალდნენ, მაგალითად მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა, აშშ-ს ავიახაზებმა, 54%-იანი დანაკარგი განიცადა. თუმცა ამ ინდუსტრიის მომავალი იმედიანად გამოიყურება, რამდენადაც ვაქცინაციის პარალელურად მოსალოდნელია საერთაშორისო მგზავრთა ნაკადების ზრდაც.

წყარო: visualcapitalist.com

www.pmo-bc.com
(+995 32) 2 37 73 07
რაფიელ ერისთავის ქ.16
თბილისი, 0179, საქართველო

[1]PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

[1] მნიშვნლოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com